თამარ ორჯონიკიძე*

შავი ზღვა მაკინდერის 1919 წლის გეოპოლიტიკურ კონცეფციაში

აბსტრაქტი

ცნობილი ბრიტანელი გეოპოლიტიკოსი ჰელფორდ მაკინდერი 1919 წელს გამოცემულ წიგნში „დემოკრატიული იდეალები და რეალობა“, სხვა თავის ცნობილი ნაშრომებისგან განსხვავებით, დაწვრილებით განიხილავს შავი ზღვის სტრატეგიულ როლს. ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად არის შესწავლილი.

მაკინდერისთვის შავი ზღვა ჰართლენდის ნაწილია. საკითხის ისტორიულ კონტექსტში (რომის იმპერია, ოსმალეთის იმპერია) განხილვის შემდეგ, მაკინდერი დაწვრილებით ეხება მე-20 საუკუნის დასაწყისის რეალობას. რუსეთის იმპერიისთვის შავი ზღვა, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დაუფლების შემთხვევაში, გზა იყო ხმელთაშუა ზღვისკენ, რაც მიუღებელი იყო დასავლეთ ევროპის წამყვანი სახელმწიფოებისათვის და რუსეთის წინააღმდეგ მათ გაერთიანებას იწვევდა. შავმა ზღვამ დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა გერმანიისთვის, რომლისთვისაც ეს იყო გზა ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიისაკენ.

პირველი მსოფლიო ომის დროს გამოჩნდა გერმანიის დაინტერესება კავკასიის რესურსებით, რისკენაც ისინი სხვადასხვა ხერხით მიიწევდნენ. რუსეთის იმპერიის დაშლის პერიოდში გერმანელთა მიზანი რუსეთისგან გამოყოფილი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, მხარდაჭერა და მათგან სარგებლის მიღება სწორედ "ჰართლენდის" დამორჩილებისაკენ მიმავალი ნაბიჯი იყო.

---

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

პირველი მსოფლიო ომის შემდგომი რეალობის პირობებში, მაკინდერს ყველაზე მეტად აფიქრებდა სამომავლოდ გერმანიისა და რუსეთის შესაძლო კავშირი. ბალტიისა და შავი ზღვების შედარების შემდეგ ის ასკვნის, რომ საზღვაო ქვეყნებისათვის შავი ზღვის გაკონტროლება უფრო ადვილია და ამ გზით შესაძლებელი გახდება გერმანიასა და რუსეთს შორის მდებარე სახელმწიფოების დაცვა.

ნაშრომში გამოთქმული შიში, რომ გერმანელები ომის შემთხვევაში პირველ რიგში აღმოსავლეთ ევროპას დაესხმებოდნენ თავს, რასაც მოჰყვებოდა მათი გაბატონება რუსეთზე და შესაბამისად "ჰართლენდის" უმდიდრეს რესურსებზე, რეალური იყო და ძალიან მალევე გამართლდა. ჰიტლერის გაცხადებული მიზანი - "სასიცოცხლო სივრცე აღმოსავლეთით" მეორე მსოფლიო ომმა აქცია რეალობად. პირველი ქვეყანა კი რომელსაც ჰიტლერმა შეუტია აღმოსავლეთევროპული პოლონეთი იყო, რომელიც ფიურერის აზრით, დერეფანი აღმოჩნდებოდა რუსეთის, მაკინდერის მიხედვით "ჰართლენდის" დასაპყრობად.

დღევანდელი ვითარება მნიშვნელოვნად განსხვავებულია მაკინდერის მიერ აღწერილი არსებული თუ ჰიპოთეტური რეალობისგან. შესაბამისად, მაკინდერის ანალიზი მნიშვნელოვანია საკითხის ისტორიულად განხილვის კონტექსტში. თუმცა შავი ზღვის გეოპოლიტიკას არ დაუკარგას აქტუალობა და მის შესწავლას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა ეთმობოდეს.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა, მაკინდერი, შავი ზღვა, საქართველო

შესავალი

მაკინდერმა (1861-1947) რამდენჯერმე შეცვალა თავისი გეოპოლიტიკური კონცეფცია. 1904 წლის იანვარში ის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი“. ამ მოხსენებაში მაკინდერმა ჩამოაყალიბა ისტორიისა და გეოგრაფიის ურთიერთკავშირის საკუთარი ხედვა. ამ კონცეფციაში მანვე გარკვეული ცვლილებები შეიტანა 1919 და 1943 წლებში. ამ ცვლილებებს საფუძვლად ედო მსოფლიოში ძალთა თანაფარდობაში მომხდარი ძვრები. „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი“ მიიჩნევა ერთ-ერთ უმთავრეს გეოპოლიტიკურ ტექსტად ამ დისციპლინის ისტორიაში, რადგანაც მასში განვითრეზულია ყველა ადრინდელი გეოპოლიტიკური იდეა და ჩამოყალიბებულია კლასიკური გეოპოლიტიკის რამდენიმე საკვანძო ცნება.

მაკინდერი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოსთვის ყველაზე ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა შუაში, ცენტრში განლაგებაა. პლანეტის მასშტაბით თუ შევხედავთ მსოფლიოს ცენტრში მდებარეობს ევრაზიის კონტინენტი, ხოლო მის ცენტრში - „მსოფლიოს გული“ იგივე „ჰართლენდი“. იგი ყველაზე ხელსაყრელი გეოგრაფიული პლაცდარმია მსოფლიოზე გავლენის მოსაპოვებლად (მაცაბერიძე, 2015. გვ. 4).

1919 წელს, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, გამოვიდა მაკინდერის ახალი ნაშრომი „დემოკრატიული იდეალები და რეალობა“, რომელშიც ჩამოყალიბებულია მისი გეოპოლიტიკური კონცეფციის ახალი ვარიანტი.

მაკინდერმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო აღმოსავლეთ ევროპას, რომელსაც გადამწყვეტი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა მიანიჭა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ეს მნიშვნელობა მან გამოხატა ზემოთდასახელებულ ნაშრომში ჩამოყალიბებულ თავის ცნობილ ფორმულაში: „როდესაც ჩვენი სახელმწიფო მოღვაწეები ესაუბრებიან დამარცხებულ მტრებს, დროდადრო

ქერუბიმებმა ჰაერში უნდა იჩურჩულონ შემდეგი ფრაზა: ის, ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას, ბატონობს „ჰართლენდზე“; ვინც აკონტროლებს „ჰართლენდს“, ბატონობს მსოფლიო კუნძულზე; ვინც აკონტროლებს მსოფლიო კუნძულს, ბატონობს მთელ მსოფლიოზე“ (Mackinder, 1919. p.106).

მაკინდერის თანახმად, აღმოსავლეთ ევროპა ჰართლენდის ნაწილია; აღმოსავლეთ ევროპის გეოგრაფიული დახასიათებისას კი აღნიშნავს, რომ ის მოქცეულია ბალტიისა და შავ ზღვას შორის. სწორედ თავის გეოპოლიტიკური კონცეფციის კონტექსტში განიხილავს მაკინდერი შავ ზღვას.

შავი ზღვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მაკინდერი ბრიტანეთისთვის უმთავრეს გეოპოლიტიკურ ამოცანად მიიჩნევს არ დაუშვას გერმანიის ახალი მცდელობა გაბატონდეს აღმოსავლეთ ევროპასა და ჰართლენდზე. ამ კუთხით მაკინდერი შავი ზღვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ მეტად საინტერესო შეფასებას აკეთებს: „ჰართლენდში“ შავი ზღვა ჩვენი გერმანელი მტრებისათვის ბილიკია სტრატეგიული ჩანაფიქრისათვის აღმოსავლეთისაკენ“ (Mackinder, 1919. p.77).

მაშასადამე მაკინდერის შეხედულებით შავი ზღვა „ჰართლენდისათვის“ ერთ-ერთ ცენტრალურ სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენს და მასზე კონტროლის მოპოვება უმნიშვნელოვანესია ყველა გეოპოლიტიკური მოთამაშისათვის.

შავი ზღვა მაკინდერის 1919 წლის კონცეფციაში ჰართლენდის ნაწილია. შავი ზღვა „შიდა ზღვას“ წარმოადგენს, რომელშიც ჩაედინება მდინარეები აღმოსავლეთ ევროპიდან და მცირე აზიიდან. ამგვარად, „შავი ზღვა თავისი მდინარეებით ქმნის სადრენაჟო ქსელის კონტინენტურ სისტემას“ (Mackinder, 1919. p.76). შავი ზღვის საშუ-

ალებით შესაძლებელია ჰართლენდის დასავლეთ მხარის მნიშვნელოვანი ნაწილის გაკონტროლება.

გარდა ამისა, შავ ზღვასა და სრუტეებზე კონტროლის დამყარების შემთხვევაში, იქ გაბატონებულმა ძალამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ხმელთაშუა ზღვას და სუეცის არხს. აქ გამავალ საზღვაო მაგისტრალს კი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ბრიტანეთისათვის.

შავ ზღვაზე საუბრისას, მის სანაპიროზე მდებარე ქვეყნებს შორის მაკინდერი გამოყოფს რუმინეთს. რუმინეთზე საუბრისას ავტორი აღნიშნავს მის საუცხოო ტყეებს, ნაყოფიერ მინდვრებს, ნავთობის ჭაბურღილებს. რუმინული ნავთობი, სიმინდი და ხორბალი ავტორის თქმით ერთ-ერთი ყველაზე იაფი რესურსებია ევროპისათვის. შავ ზღვაზე რუმინეთს რამდენიმე პორტი აქვს, რომელიც მიმზიდველია მათთვის თავისი დახურული წყლებით "ჰართლენდის" ტერიტორიაზე (Mackinder, 1919. p. 115).

შავი ზღვა ისტორიულ კონტექსტში

შავი ზღვის გეოპოლიტიკურ მნიშნელობაზე მაკინდერი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ისტორიულ მოვლენათა შეფასებებისა და იმჟამინდელი მდგომარეობის გათვლისწინებით საუბრობს. ისტორიული კონტექსტი განხილულია შავ ზღვაზე რომის იმპერიის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიის დომინირების პერიოდების მიხედვით.

მაკინდერის თქმით, რომის იმპერია გაბატონდა ხმელთაშუა ზღვის აუზზე. ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროს სრული დამორჩილებით რომმა მოახერხა და როგორც საზღვაო, ასევე სახმელეთო ძალაუფლება ჩაიგდო ხელში და მათი საშუალებით დაიწყო დასავლური ცივილიზაციის განვითარება.

თუმცა, რომის იმპერიამ იგივე არ მოიმოქმედა შავ ზღვასთან დაკავშირებით. იმპერიამ დედაქალაქი კონსტანტინოპოლში გადმოიტანა, რომელიც ქალაქი-ხიდი იყო ევროპიდან აზიისაკენ. კონსტანტინოპოლი

იყო ადგილი, საიდანაც შესაძლებელი იყო გაკონტროლებულიყო როგორც საზღვაო, ასევე სახმელეთო ტერიტორიები. მაგრამ რომმა საკუთარი ხმელთაშუაზღვის ძლიერებით არ მოახდინა შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირის ანექსირება, ამიტომ შავი ზღვა თვითონ იყო იმპერიის საზღვის ნაწილი. სტეპები დარჩათ სკვითებს, რომლებიც შემდგომ უკვე თურქებად იწოდებიან. ყირიმის სანაპიროს გასწვრივ კი მეზღვაურებმა რამდენიმე სავაჭრო სადგური ჩამოაყალიბეს (Mackinder, 1919. p. 77).

რომის და შემდეგ ბიზანტიის იმპერიას ოსმალეთის იმპერია ჩაენაცვლა. მას შემდეგ კი რაც ქალაქი კონსტანტინოპოლი თურქთა მმართველობის ქვეშ მოექცა 1453 წელს, შავი ზღვა დაიხურა ვენეციელი და გენუელი მეზღვაურებისათვის. მაკინდერი აღნიშნავს, რომ რომაელთა ბატონობის ქვეშ შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპირზე მოწინავე დარგი ზღვაოსნობა იყო, ხოლო თურქთა მმართველობამ „ტავროსის მთათა სისტემასა“ და „ბალკანეთის ალპებს“ ცხენოსანთა დაწინაურება მოუტანა.

ოსმალთა ბატონობა შავ ზღვაზე რუსეთის იმპერიამ შეარყია. ნიკოლოზ 1-ის მეფობის დროს რუსეთმა პირდაპირ სცადა სრუტეების დაუფლება და ამით არა მარტო თავის შიდა ტბად აქცევდა შავ ზღვას, არამედ ხმელთაშუა ზღვაზეც გადიოდა. მისი ეს მიზანი საფრთხეს უქმნიდა ევროპის სხვა დიდი სახელმწიფოების, პირველ რიგში კი ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესებს. ამის თაობაზე მაკინდერი აღნიშნავს: „ნიკოლოზ მეფის რუსეთი შავ ზღვაზე ბატონობით ცდილობდა მისი სამხრეთ გასასვლელიდან დარდანელზე გასვლას. ამას კი გარდაუვლად მოჰყვებოდა დასავლეთ ევროპის გაერთიანება მის წინააღმდეგ. ასე მოხდა ავღანეთის პირველ ომში 1839 წელს, როდესაც რუსულმა ინტრიგებმა ბრიტანეთი ჩარია ამ ომში და საბოლოოდ მათ ფრანგებთან ერთად მოუხდათ მოქმედება მაშინ. 1854 წელს საფრანგეთი და ბრიტანეთი კვლავ გაერთიანდნენ რუსეთის წინააღმდეგ. საფრანგეთი, რომლის პროტექტორატის ქვეშაც ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანები იყვნენ, რუსეთის მოქმედებებმა კვლავ აიძულა გაერთიანებულიყო ბრიტანეთ-

თან თურქთა მხარდასაჭერად, რომლებიც დუნაის სანაპიროსთან რუსეთის არმიას ებრძოდნენ (Mackinder, 1919. p. 96).

პირველ მსოფლიო ომში რუსეთის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი კვლავ კონსტანტინოპოლის აღება და სრუტეების დაუფლება იყო.

შავი ზღვა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს პოლიტიკურ მოწყობაზე ფიქრისას მაკინდერის მთავარი საზრუნავი აღმოსავლეთ ევროპაზე კონტროლის საკითხია. ამ კონტექსტშია განხილული შავი ზღვაც.

მაკინდერი შავ და ბალტიის ზღვებს ადარებს ერთმანეთს და ამბობს, რომ ბალტიის ზღვა ჩაკეტილია სახმელეთო ძალაუფლების გამო. შავი ზღვის გაკონტროლება კი უფრო ადვილია საზღვაო სახელმწიფოებისათვის. მაკინდერი ომის შემდგომ შექმნილ სიტუაციაზე საუბრობს, და გერმანიისა და მის მოწინააღმდეგეთა მდგომარეობის გათვალისწინებით ასკვნის, რომ შავ ზღვაში კუნძულოვან სახელმწიფოთა მიერ ფლოტის შეყვანა უფრო იოლი იქნება, ვიდრე ბალტიის ზღვაში (Mackinder, 1919. p. 78).

მაკინდერი წერს, რომ საზღვაო ძალის მქონე ქვეყნებს გაუჭირდებოდათ სუეცის არხის ხელში ჩაგდება, თუ ომის დასაწყისში წყალქვეშა ნავების ფლოტი ჩამოყალიბებული იქნებოდა შავ ზღვაზე. ის მიიჩნევს, რომ სახმელეთო ძალებს უკვე სწრაფად მზარდი სტრატეგიული უპირატესობა გააჩნიათ საზღვაო ძალების წინააღმდეგ (Mackinder, 1919. p. 80).

"ჰართლენდის" სტრატეგიულ მნიშვნელობაზე საუბრისას ავტორი შავი ზღვას ერთ-ერთ მთავარ როლს აკისრებს. მაკინდერი მიიჩნევს, რომ ადეკვატური წყალქვეშა ნავების კამპანიის პირობებში, რომლებიც ომის დასაწყისში შავ ზღვაში იქნებოდნენ განლაგებულნი, იქნებოდა უსაფრთხოების გარანტია არმიისათვის ხმელეთზე სუეცის არხის წინააღმდეგ ბრძოლაში (Mackinder, 1919. p. 121).

შავი ზღვის მნიშვნელობა აღმოსავლეთ ევროპისთვის

აღმოსავლეთ ევროპის მნიშვნელობა მაკინდერმა თავის უმთავრეს კონცეფციაში გამოხატა, როდესაც აღმოსავლეთ ევროპაზე ბატონობა მსოფლიოზე კონტროლის მოპოვების საშუალებად მიიჩნია. ბრიტანელი მეცნიერი ამ ტერიტორიას „ჰართლენდის“ ნაწილად მიიჩნევს და წერს, რომ გერმანიამ ომი, სწორედ აღმოსავლეთ ევროპისა და შემდგომ უკვე „ჰართლენდზე“ ბატონობისათვის წამოიწყო.

მომავალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების საშუალებად ავტორს გერმანიასა და რუსეთს შორის დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობა ესახება. თავისუფალი ქვეყნები ბარიერი იქნება გერმანიისა და რუსეთის ალიანსისა ან გერმანიის გაბატონებისა რუსეთზე.

აღმოსავლეთ ევროპის „საშუალო რანგის“ ქვეყნებს მაკინდერი მიაკუთვნებს პოლონეთს; ბოჰემიას (ჩეხებსა და სლოვაკებს); უნგრეთს; რუმინეთს; სერბეთს (სამხრეთ სლავები - სერბები, ხორვატიელები და სლოვენიელები); ბულგარეთსა და საბერძნეთს (Mackinder, 1919. p. 115). ამ ქვეყნების განხილვისას, მაკინდერი ყურადღებას ამახვილებს მათ შორის ყველაზე ცივილიზებული-პოლონეთისა და ბოჰემიის (ჩეხეთის) დაუცველ გეოგრაფიულ განლაგებაზე ჩრდილოეთით პრუსის აგრესიისაგან. მაკინდერი წერს, რომ პოლონელი და ბოჰემიელი ხალხი რეალურად დამოუკიდებელი ვერ იქნება, სანამ დამოუკიდებლობა ასევე არ გავრცელდება შავი და ადრიატიკის ზღვებიდან ბალტიის ზღვამდე (Mackinder, 1919. p. 116). ამ შვიდი ქვეყნის 60 მილიონამდე მცხოვრებისათვის კი შავი ზღვა ბალტიისა და ადრიატიკის ზღვებთან ერთად ოკეანესთან დამაკავშირებელია, რომ ეფექტურად დააბალანსონ პრუსიის გერმანია და ავსტრია (Mackinder, 1919. p. 117).

ახალი გეოპოლიტიკური რეალობა

1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და შემდგომ განვითარებული მოვლენების შედეგად რუსეთი პროცესებს ჩამოშორდა. ამავე წლის დეკემბერში რუსებმა თავად წამოიწყეს სამშვიდობო მოლაპარაკებები ბრესტ-ლიტოვსკში. სამი თვის შემდეგ, 1918 წლის მარტში, გერმანელებმა და რუსებმა სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს და რუსეთი ომს გამოეთიშა. შეთანხმების მიხედვით ბოლშევიკურ რეჟიმს ევროპაში მისი თითქმის ყველა არარუსული ტერიტორიის დათმობა ევალებოდა. ეს ტერიტორიები იყო: პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ჩრდილოეთით ფინეთი, ასევე უკრაინა და ტრანსკავკასიის ქვეყნები (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) სამხრეთით. ყველა ამ რეგიონში მეფის რეჟიმის დამხობის შემდეგ დამოუკიდებლობის მიღებისათვის ბრძოლა უკვე დაწყებული იყო და ბევრმა მათგანმა სამხედრო და ეკონომიკური დახმარების მიზნით გერმანიას მიმართა. გერმანია კმაყოფილი ჩანდა - მათი „სამხედრო დაცვის“ უზრუნველყოფა საომარი პროგრამის მიზნების განხორციელებაში დაეხმარებოდა. კერძოდ, ევროპის ტერიტორიიდან რუსული ძალის გაყვანაში და არარუსული საზღვრის ზონამდე საკუთარი ეკონომიკური ბატონობის გაფართოებაში.

რუსეთის ომიდან გამოთიშვის შედეგად, აღმოსავლეთ ევროპაში შეიქმნა ვაკუუმი და ძალთა წონასწორობა რადიკალურად შეიცვალა. რუსეთი ფაქტობრივად ჩამოშორდა ბალტიის რეგიონს, გერმანიის გავლენით კი შავ ზღვასა და მინერალებით მდიდარ კავკასიასთან წვდომაც ეზღუდებოდა. პოლონეთის სახელმწიფო ევროპის ცენტრში, გერმანიის ჰეგემონიის გაფართოებისთვის, რუსეთის ყოფილ ტერიტორიაზე, შავი და ბალტიის ზღვების გასწვრივ ტრანზიტულ ზონად გადაიქცა. იმპერიული რუსეთის ბესარაბიის პროვინციის ანექსია რუმინეთის მიერ კი გერმანიამ და ავსტრიამ აღიარა.

აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიიდან რუსეთმა უკან დაიხია (ქილორი, 2015. გვ.89).

1918 წლის გაზაფხულისთვის, გერმანული სამხედრო ბატონობის ქვეშ არსებული ტერიტორია პრაქტიკულად ყველანაირ რესურსს მოიცავდა. აღმოსავლეთში გერმანიის საომარი გეგმის თავდაპირველი ამოცანები შესრულდა. რუსეთის საზღვრებთან გერმანია სტრატეგიულად გაბატონდა. რუსული ჯარებისგან დაცლილ დიდ რეგიონში გერმანიის ეკონომიკურ დომინირებას ჩაეყარა საფუძველი. ავსტრია-უნგრეთისა და ოსმანთა იმპერიებმა კი არაბეთის ნახევარკუნძულისა და სპარსეთის ყურისკენ გაუხსნეს გზა გერმანიის ექსპანსიას. მახლობელ აღმოსავლეთამდე და სამხრეთ აზიამდე გადაჭიმული ეს სახმელეთო გზა, რომელიც გერმანული კაპიტალით დაფინანსებული რკინიგზით უნდა დახვეწილიყო ეკონომიკური თვალსაზრისით ღირებულ რეგიონთან უსაფრთხო საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენდა. ეს იყო გერმანული ინდუსტრიული და ფინანსური ოლიგარქიის ოცნების განხორციელების დასაწყისი. საფუძველი ეყრებოდა სამხედრო და ეკონომიკური შეთანხმებით დაკავშირებული ცენტრალური ევროპის (mitteleuropa) მორჩილი სატელიტებისა და მოკავშირეების ჯგუფის შექმნის იდეის განხორციელებას. ამას კი მოჰყვებოდა ბერლინის ექსპანსიონისტების მიერ შექმნილი ცენტრალური აფრიკის (mittelafrica) პროექტი. ეს იყო ცენტრალური აფრიკის იმპერია ბელგიის, საფრანგეთისა და ბრიტანეთის კოლონიების ტერიტორიებით, რომელიც აფრიკაში გერმანიის კუთვნილ ტერიტორიებამდე გაფართოვდებოდა და კონტინენტის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროზე მდებარე გერმანიის სამხედრო ფლოტის ბაზებით იქნებოდა დაცული (ქილორი, 2015. გვ.90).

როგორც ვნახეთ, მაკინდერის კონცეფციას აღმოსავლეთ ევროპის კონტროლის საშუალებით მსოფლიო კუნძულის (ევრაზია, აფრიკა) მართვასთან დაკავშირებით გერმანია პირველი მსოფლიო ომ-

ში წარმატებით ახორციელებდა. აღმოსავლეთ ევროპიდან რუსეთის გავლენის ჩამოშორებით, მას გზა გაეხსნა როგორც აზიის, ასევე აფრიკისკენაც. სწორედ ამას უფრთხის მაკინდერი 1919 წლის ნაშრომში და აფრთხილებს მსოფლიოს, რომ შესაძლოა იგივე კვლავ განმეორდეს, თუ გერმანიას საშუალება მიეცემა და ისევ შეძლებს აღმოსავლეთ ევროპაზე კონტროლის მოპოვებას. აღნიშნულ ტერიტორიაზე რუსეთის ომიდან გასვლის შემდგომ მას უკვე მოწინააღმდეგე აღარავინ ჰყავდა. იქ არსებული რესურსების სრული გამოყენებით გერმანიას ექნებოდა წვდომა უდიდეს როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო ძალასთან.

დასკვნა

1919 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს "დემოკრატიული იდეალები და რეალობა" ჰელფორდ მაკინდერი პირველი მსოფლიო ომის ბოლო პერიოდში წერდა. ომმა შეცვალა მსოფლიოს რეალობა. რამდენიმე იმპერია სრულიად გაქრა რუკიდან, ახალი სახელმწიფოები კი ამბიციურად გამოჩნდნენ გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოთა შორის.

მაკინდერი მსოფლიოს წამყვან ქვეყანათა ძალთა ბალანსზე საუბრისას აღმოსავლეთ ევროპის მნიშნელობაზე დიდ ყურადღებას ამახვილებს. აღმოსავლეთ ევროპაზე გაბატონებით მსოფლიოზე მბრძანებლობას ის სხვადასხვა ისტორიული მოვლენების განხილვით ასაბუთებს. მაკინდერის თქმით აღმოსავლეთ ევროპაზე გაბატონება, რომელიც მოქცეულია ბალტიისა და შავ ზღვას შორის საუკეთესო გზაა ჯერ "მსოფლიო კუნძულის" (ევრაზია, აფრიკა), ხოლო შემდგომ უკვე მთელი მსოფლიოს დაქვემდებარებისათვის.

აღნიშნული ნაშრომი საინტერესოა იმით, რომ ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს შავი ზღვის მნიშვნელობაზე საუბარს, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ძალთა გადანაწილების მისეული ხედვისას. საქართველო, როგორც შავი ზღვის აუზის ერთ-ერთი ქვეყანა, შესაბამისად კი გზა მსოფლიო პირველობის მო-

პოვებისათვის, ნაწილია დიდ სახელმწიფოთა თამაშში. პირველი მსოფლიო ომის დროსაც გამოჩნდა გერმანელთა (პირველობისთვის მებრძოლთა) დაინტერესება კავკასიის რესურსებით, რისკენაც ისინი სხვადასხვა ხერხით მიიწევდნენ. მეფის რუსეთის დაშლის პერიოდში გერმანელთა მიზანი რუსებისაგან გამოყოფილი ტერიტორიების, მათ შორის საქართველოს, მხარდაჭერა და მათგან სარგებლის მიღება სწორედ "ჰართლენდის" დამორჩილებისაკენ მიმავალი ნაბიჯი იყო.

მაკინდერის აღნიშნული ნაშრომი იმდროინდელ საქართველოში ფაქტობრივად შეუმჩნეველი დარჩა. განსხვავებით რამდენიმე წლის შემდეგ ერიხ ობსტის გეოპოლიტიკური ნარკვევისაგან, რომელმაც ქართული გეოპოლიტიკის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა (M Matsaberidze, 2016).

ინგლისელი გეოპოლიტიკოსის საუკუნისწინანდელი მოსაზრებები დღესაც აქტუალურია. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დამოუკიდებლობას მე-20 საუკუნის 20-იანი წლებისას მაკინდერი ერთ-ერთი გადამწყვეტ ბარიერად ასახელებდა გერმანია-რუსეთის ალიანსისა ან გერმანიის მიერ რუსეთის დამორჩილების შემთხვევაში. 1939 წლის შემოდგომაზე პოლონეთის გაყოფა ამ ორი უძლიერესი ქვეყნის მიერ, რასაც წამყვანი სახელმწიფოების ჩართვა პროცესებში და მეორე მსოფლიო ომი მოჰყვა, კარგი მაგალითია იმისათვის, რომ უკვე 21-ე საუკუნეში მსოფლიო ქვეყნებმა მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების კიდევ უფრო მეტი დამოუკიდებლობისა და გაძლიერებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

- მაცაბერიძე მ. (2015) ჰელფორდ მაკინდერის გეოპოლიტი-კური კონცეფცია. თბილისი.
- ქილორი, უ. (2015). *მეოცე საუკუნის მსოფლიო.* თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Mackinder, H. (1919). *Democratic Ideals and Reality*. NATIONAL DEFENSE UNIVERSITY PRESS. Washington, DC.
- M Matsaberidze. (2016) Victor Nozadze on Geopolitics of the Caucasus. - International Relations 4 (1), 7-13

Tamar Orjonikidze

Black Sea in the Geopolitical Concept of Mackinder in 1919

Abstract

Famous British Geopolitician Halford Mackinder in his book published in 1919, “"Democratic ideals and reality" unlike to his different famous works, detailed discusses strategic role of black sea. This issue important for our country is less studied in the scientific literature.

For Mackinder black sea is part of Heartland. In the historical context of the issue after discussing (the Roman Empire and the Ottoman Empire), Mackinder detailed discusses the reality existing for the beginning of the 20th century. For Russian Empire the Black Sea, in case of owning Bosper and Dardanell Strait, was a road to the Mediterranean Sea, which was unacceptable for the leading European states, and forced them to unite against Russia. Black Sea gained a great geopolitical importance for Germany, for whom it was road to Middle East and Central Asia.

In the First World War was observed Interest of Germany in Caucasus recourses, toward which they were moving through different ways. During the collapse of the Russian Empire, the goal of the Germans was the support of the allocated countries from Russia, including Georgia, and to receive the benefit from them, which was a step towards subversion of "Heartland".

Under the conditions of the post First World War reality, Mackinder most of all was concerned about possible German and Russian relationship for future. After comparing the Baltic and Black Sea he concludes it is easier to control the Black Sea for maritime countries, and in this way it will be possible to protect the states between Germany and Russia.

The concern expressed in the work that in case of war first of all the Germans will attack to the Eastern Europe which would lead their dominance over Russia and consequently on the reaches resources of “Heartland” was real and soon it came true. Hitler's declared goal - "Vital Space in East", the Second World War turned into reality. The first country to which Hitler stroke was the East European Poland, which in Fourier’s opinion would be the corridor to conquer to Russia, according to the Mackinder to conquer “Heartland”.

Today's situation is significantly different from the current or hypothetical reality described by Mackinder. Consequently, Mackinder’s analysis is important in the context of the historical review of the issue. However, the Black Sea geopolitics did not lose its actuality and should be given considerable attention to its study.